პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა

სს „თიბისი დაზღვევა“ არის საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანია.
საიდენთიფიკაციო ნომერი: 405042804
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #24ბ
სს „თიბისი დაზღვევა (შემდგომში - „კომპანია ან მზღვეველი“), აღიარებს და იღებს პასუხისმგებლობას პერსონალური მონაცემების დამუშავებისას განუხრელად დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის, მათ შორის ევროპის საბჭოს რეკომენდაციების (No. R (90) 19 და No. R (85) 20), გათვალისწინებით.

პერსონალური მონაცემის დამუშავების პოლიტიკის მიზანი და გავრცელების სფერო

ამ დოკუმენტში წარმოდგენილი პოლიტიკა (შემდგომში „პოლიტიკა“) ეხება ყველა იმ ფიზიკურ პირს (კომპანიის კლიენტები, დასაქმებულები, კონტრაქტორები და სხვა - შემდგომში „მონაცემთა სუბიექტი“), რომელთა შესახებ კომპანია ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს (შემდგომში - „მონაცემი“).

კომპანიისთვის მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს მონაცემების დაცვა, როგორც საფუძველი სანდო და კეთილსინდისიერი სადაზღვევო კომპანიასთან ნებისმიერი სუბიექტის მიერ ბიზნეს-ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით, ხოლო ამ პოლიტიკის მიზანია დაინტერესებულმა პირმა მიიღოს ძირითადი ინფორმაცია, როგორ მუშავდება კომპანიის მიერ მონაცემები და ასევე, როგორც ხორციელდება კომპანიის მიერ მათი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაცვა, პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგრეთვე ნორმატიული სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების მოთხოვნების პრაქტიკული რეალიზაცია კომპანიაში პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხში.

ეს პოლიტიკა წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტების მიერ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებების ან/და კომპანიის მიერ დადგენილი პროცედურების/სტანდარტების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, რომელთა შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ორმხრივ ხელშეკრულებებს (ასეთი არსებობის შემთხვევაში).

როგორ ვიყენებთ თქვენს პერსონალურ ინფორმაციას

წინამდებარე შეტყობინება ეხება პერსონალურ მონაცემებზე არასანქცირებულ წვდომასთან დაკავშირებით სს „თიბისი დაზღვევაში“არსებულ დაცვის მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც მზღვეველი იცავს თქვენს პერსონალურ მონაცემებს. ეს უკანასკნელი მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მზღვეველი მოიპოვებს თქვენთვის მომსახურების გაწევის პერიოდში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შემდგომში ასევე გამოიყენება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის. შეტყობინების მიზანია, მოგაწოდოთ ინფორმაცია პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისას ჩვენი მუშაობის პრინციპებისა და თქვენი სამართლებრივი დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით.

პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის დაპირება

ჩვენ, **სს „თიბისი დაზღვევის“** გუნდი, გპირდებით, რომ:

- ვიზრუნებთ თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებასა და დაცვაზე;
- არ გამოვიყენებთ თქვენს მონაცემებს არამართლზომიერად;
- ნებისმიერ დროს მოგაწვდით სრულ და ამომწურავ ინფორმაციას თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.

როგორ გიცავთ კანონი

პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის დაპირების მსგავსად, აღნიშნულ მონაცემებს იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი. კანონმდებლობის თანახმად, თქვენ უფლება გაქვთ, მოგვთხოვოთ ინფორმაცია თქვენი მონაცემების დამუშავების თაობაზე. თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ შემდეგი ინფორმაცია:

- რომელი მონაცემები მუშავდება თქვენს შესახებ;
- მონაცემთა დამუშავების მიზანი;
- მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;
- რა გზით შეგროვდა თქვენი მონაცემები;
- ვის გადაეცა თქვენი მონაცემები;
- მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ჩვენ მიერ დამუშავებული ინფორმაციის ასლი.

კანონმდებლობის შესაბამისად თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ თქვენი პირადი მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. ჩვენ ვმოქმედებთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რამაც, შესაძლოა, ხელი შეგვიშალოს დაუყოვნებლივ წავშალოთ თქვენი პირადი მონაცემები. ასეთი ვალდებულებები, შესაძლოა, გამომდინარეობდეს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის, საგადასახადო კანონმდებლობის, დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონიდან და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობიდან.

აღნიშნული ინფორმაციის თქვენთვის მოწოდების ვალდებულება მზღვეველს წარმოეშვება თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში. პერსონალური მონაცემების გამოყენების უფლება გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამისათვის კონკრეტული სახელშეკრულებო ან/და კანონისმიერი საფუძველი გაგვაჩნია.

მზღვეველს აქვს თქვენი ინფორმაციის გამოყენების კანონიერი საფუძველი, რაც გულისხმობს ბიზნესთან დაკავშირებული ან/და კომერციული მიზნის არსებობას. მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ შემთხვევაშიც, მზღვეველის მიერ ინფორმაციის დამუშავება არ არის მიმართული თქვენი ინტერესების შელახვისაკენ.

ქვემოთ მოცემულია მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები, რომლის ფონზეც ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ ინფორმაციას. ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის, ჩვენ წარმოგიდგენთ თქვენი ინფორმაციის გამოყენების მიზნებს და ჩვენს სამართლებრივ საფუძვლებს:

რისთვის ვიყენებთ თქვენს პერსონალურ ინფორმაციას:	**ჩვენი მიზანი:**	**ჩვენი სამართლებრივი საფუძველი:**
· თქვენთან ურთიერთობისთვის; · თქვენი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, თანამშრომლობის ახალი გზების შესამუშავებლად და ჩვენი ბიზნესის განსავითარებლად; · მარკეტინგული აქტივობების შესამუშავებლად და განსახორციელებლად; · იმის შესასწავლად, თუ როგორ იყენებენ კლიენტები ჩვენს პროდუქტებსა და მომსახურებას; · ჩვენს პროდუქტებსა და მომსახურებასთან დაკავშირებით რჩევებისა თუ რეკომენდაციების მისაღებად; · ჩვენი ბრენდების, პროდუქტებისა და მომსახურების განსავითარებლად/ სამართავად;	· მონაცემების განახლება, თქვენთვის საინტერესო პროდუქტებისა და მომსახურების იდენტიფიცირება და ამ ინფორმაციის თქვენთვის მოწოდება; · პროდუქტებისა და მომსახურების განვითარება; · ახალი პროდუქტებისა თუ მომსახურების შეთავაზებისთვის კლიენტთა ფოკუს ჯგუფების განსაზღვრა; · ჩვენი კანონიერი მოვალეობების ეფექტიანად შესრულება.	· თქვენი თანხმობა; · სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება; · ჩვენი კანონიერი ინტერესები; · ჩვენი კანონიერი მოვალეობა.
· ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურების მისაწოდებლად;	· ჩვენი კანონიერი მოვალეობებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების ეფექტიანად შესრულება;	· თქვენი თანხმობა; · სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება;

· ფინანსური დანაშაულის გამოსავლენად, გამოსაძიებლად, ანგარიშგებისა და პრევენციისათვის; · ჩვენთვის რელევანტური კანონებისა და რეგულაციების შესასრულებლად; · საჩივრებზე რეაგირების მოსახდენად და მათი მოგვარების გზების მოსაძიებლად.	· ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ჩვენი სამოქმედო სტრატეგიების შემუშავება და დახვეწა, ასევე ამ თვალსაზრისით კანონიერი მოვალეობების შესრულება	· ჩვენი კანონიერი ინტერესები; · ჩვენი კანონიერი მოვალეობა
· ჩვენი ბიზნესის ეფექტიანად და მართებულად წარსამართავად, რაც მოიცავს ჩვენი ფინანსური პოზიციის, ბიზნეს შესაძლებლობის, დაგეგმვის, კომუნიკაციების, კორპორატიული მმართველობისა და აუდიტის მართვა.	· ჩვენთვის რელევანტურ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; · ჩვენი კანონიერი მოვალეობების და სახელშეკრულებო ვალდებულებების ეფექტიანად შესრულება.	· ჩვენი კანონიერი ინტერესები; · ჩვენი კანონიერი მოვალეობა.
· ხელშეკრულებებით ნაკისრი უფლებების- ვალდებულებების განხორციელება.	· სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება.	· რელევანტურ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; · ჩვენი კანონიერი მოვალეობების და სახელშეკრულებო ვალდებულებების ეფექტიანად შესრულება.

პერსონალური ინფორმაციის ჯგუფები

ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა სახის პერსონალურ ინფორმაციას და ვაჯგუფებთ მას შემდეგნაირად:

პერსონალური ინფორმაციის ტიპები	აღწერილობა
ფინანსური	ბანკის ანგარიშების რეკვიზიტები;
საკონტაქტო ინფორმაცია	საცხოვრებელი მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა.
სახელშეკრულებო	დეტალური ინფორმაცია ჩვენ მიერ თქვენთვის მიწოდებული პროდუქტებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.
ქცევითი	დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იყენებთ ჩვენს პროდუქტებს და მომსახურებას.
ტექნიკური	ინფორმაცია თქვენ მიერ გამოყენებული მოწყობილობებისა და ტექნოლოგიის შესახებ.
საკომუნიკაციო	ინფორმაცია, რომელსაც მზღვეველი მოიპოვებს თქვენსა და თქვენ მიერ მითითებული მესამე პირების შესახებ წერილებიდან, ელექტრონული წერილებიდან კლიენტსა და მზღვეველს შორის განხორციელებული სხვა ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით.
დოკუმენტური მონაცემები	სხვადასხვა ფორმატის დოკუმენტებსა და მათ ასლებში ასახული ინფორმაცია თქვენსა და თქვენ მიერ მითითებული მესამე პირების შესახებ. ასეთ დოკუმენტებს მიეკუთვნება პასპორტი, პირადობის დამადასტურებელი საბუთი, დაბადების მოწმობა, ავტომობილის მართვის მოწმობა და სხვა პიროვნების მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი.
განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები	პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი და სხვა რეგულაციები ზოგიერთ პერსონალურ მონაცემს განიხილავს, როგორც განსაკუთრებული ტიპის ინფორმაციას. ამ ტიპის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ თქვენი წერილობითი თანხმობით ან იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დამუშავება ემსახურება კანონით მკაცრად განსაზღვრულ მიზანს. ასეთ მონაცემებს მიეკუთვნება მათ შორის სამედიცინო შინაარსის ინფორმაცია.

თუ მონაცემთა სუბიექტი კომპანიას აწვდის ინფორმაციას მესამე პირების (მათ შორის მაგ.: კლიენტები, ოჯახის წევრის ან/და მასთან ურთიერთობაში მყოფი პირის, თანამშრომლების) შესახებ, მონაცემთა სუბიექტი ადასტურებს, რომ მოპოვებული აქვს სრული ნებართვა და იღებს პასუხისმგებლობას კომპანიის მხრიდან აღნიშნული მონაცემების დამუშავებაზე.

რა წყაროებიდან მოვიპოვებთ პერსონალურ ინფორმაციას

თქვენს შესახებ პერსონალური ინფორმაციის მოპოვება შეგვიძლია მზღვეველისთვის თქვენ მიერ მოწოდებული და ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან. თქვენგან მონაცემებს ვიღებთ შემდეგ შემთხვევებში:

- როცა მოგვმართავთ ჩვენი პროდუქტებისა თუ მომსახურების მისაღებად;
- როცა კომუნიკაცია ხორციელდება ტელეფონის საშუალებით ან უშუალოდ ფილიალში ვიზიტის დროს;
- როცა თქვენ იყენებთ ჩვენს ვებ-გვერდებს, მობილურ აპლიკაციებსა და ვებ-ჩეთს;
- როცა აგზავნით წერილებს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით;
- საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან.

"მზა ჩანაწერები" (Cookies) და სხვა ციფრული ინსტრუმენტები

ჩვენ ვიყენებთ Cookies-ს და სხვადასხვა ციფრულ ინსტრუმენტს რომ დავაკვირდეთ ჩვენს ვებ-გვერდზე მომხამრებლების ქცევას რათა დავრწმუნდეთ, რომ გთავაზობთ საუკეთესო გამოცდილებას ჩვენს ვებ-გვერდზე ყოფნისას და შევძლოთ მუდმივად გავაუმჯობესოთ მომსახურების ხარისხი.

ჩვენს ვებ-გვერდზე ვაგროვებთ ინფორმაციას მომხმარებლების ნავიგაციის და ქცევის შესახებ, კერძოდ:

- IP მისამართი, მოწყობილობის ტიპი, საოპერაციო სისტემა და ბრაუზერი საიდანაც ხდება ვებ-გვერდზე შემოსვლა.
- ვაგროვებთ ინფორმაციას ჩვენს ვებ-გვერდზე გახსნილი გვერდების, სესიის ხანგრძლივობის და სესიის სხვადასხვა პარამეტრების შესახებ.
- ვაგროვებთ ინფორმაციას მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდზე განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით ვიდეო ჩანაწერის სახით, ასევე ვაკვირდებით მათ ქცევას ვებ-გვერდის „ცხელი წერტილების" საშუალებით.
- ინფორმაცია იმ ქმედებების შესახებ რომელიც ჩვენს ვებ-გვერდზე მოხდა: ფორმების შევსება, ვებ-გვერდის ინტერაქციულ ელემენტების გამოყენება და ა.შ.
- ვებ-გვერდზე ველების შევსების პროცესი, დრო და ფორმა

მოგროვებულ ინფორმაციას ვიყენებთ:

- ვებ-გვერდის სტატისტიკის საწარმოებლად პროცესების, ველების და ვებ-გვერდის დიზაინის ოპტიმიზაციის მიზნით.
- ვებ-გვერდის UX/UI-ის გასაუმჯობესებლად, ვებ-გვერდზე არსებული ხარვეზების იდენტიფიკაციისა და აღმოფხვრის მიზნით;
- ვებ-გვერდის მომხმარებლების დაცვისა და თაღლითური ქმედებების პრევენციის მიზნით.
- ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და სხვა დანაშაულებრივი ღონისძიებების გამოვლენისა და თავიდან აცილების მიზნით;
- ვებ-გვერდზე მომხმარებელთა ნაკადის კონტროლის, მარკეტინგული კამპანიების ეფექტურობის შესაფასებლად და სხვადასხვა ანალიტიკური კვლევების საწარმოებლად.
- მოპოვებული ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ ვებ-გვერდის და მისი კომპონენტების ადაპტირება მომხმარებლის საჭიროებების მიხედვით.

მარკეტინგული და ანალიტიკის მიზნებისთვის დამატებით ვიყენებთ მესამე მხარის Cookies.

ვებ-გვერდის გამოყენების დაწყებამდე, თქვენ გაქვთ საშუალება დაეთანხმოთ cookies და მომხმარებელთა ქცევაზე დაკვირვების შესახებ შეტყობინებას „თანხმობა“ ღილაკზე დაჭერით. იმ შემთხვევაში თუ არ დაეთანმხებით „Cookies პოლიტიკა“-ს, თუმცა გააგრძელებთ ვებ-გვერდის გამოყენებას, აღნიშნული ქმედება მაინც ჩაითვლება თქვენს თანხმობად ზემოდ აღნიშნულ ქმედებაზე.

თუ გსურთ შეზღუდოთ cookie ფაილები ან დაბლოკოთ ისინი ჩვენს ვებ-გვერდზე, ამის განხორციელება შეგიძლიათ თქვენი ბრაუზერის პარამეტრების შეცვლით. ამასთან, გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი სერვისი არ იფუნქციონირებს თუ დაბლოკავთ ან წაშლით cookies-ს ფაილებს.

მესამე პირებისგან მიღებული ინფორმაცია

ჩვენ გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ და მივიღოთ ინფორმაცია მესამე პირისგანაც, მაგალითად, ჩვენი ჯგუფის წევრი კომპანიებისგან ან სადაზღვევო-საინფორმაციო ბიუროსგან მათ ელექტრონულ ბაზაში დაცული როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური ინფორმაცია, ასევე სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოსგან. აღნიშნული ხორციელდება პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, თქვენი წინასწარი თანხმობის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ან/და ხელშეკრულებით გაცხადებული თანხმობის საფუძველზე.

ვის ვუზიარებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს

თქვენი პერსონალური მონაცემების გაზიარება შეიძლება დაგვჭირდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ან სხვა ორგანიზაციებთანაც, რომლებმაც თქვენს მიერ შერჩეული პროდუქტი თუ მომსახურება უნდა მოგაწოდონ, მაგალითად:

- თუ თქვენ დაზღვევას ჩვენი მეშვეობით ახორციელებთ, ჩვენ, შესაძლოა, თქვენი პერსონალური თუ ბიზნეს მონაცემები გადავცეთ ნებისმიერ გადამზღვევს.

- თუ თქვენ გაქვთ სადაზღვევო მოთხოვნა, თქვენ მიერ ჩვენთვის მიწოდებული ინფორმაცია, შესაძლოა, შევიტანოთ მოთხოვნათა რეესტრში. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება სხვა მზღვეველებისთვისაც.

ჩვენ ასევე, შესაძლოა, გავაზიაროთ თქვენი პერსონალური მონაცემები იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველის სტრუქტურა მომავალში შეიცვლება, მაგალითად:

- ჩვენ, შესაძლოა, გავყიდოთ, გადავცეთ, ან მოვახდინოთ ბიზნესის, ან აქტივების ნაწილის შერწყმა.

- რომელიმე ზემოხსენებული პროცესის განხორციელების შემთხვევაში, თქვენი ინფორმაცია, შესაძლოა, გავუზიაროთ სხვა მხარეებს. თუმცა, ასეთი ინფორმაციის გაზიარებამდე ხსენებულმა მხარეებმა სავალდებულო წესით უნდა განაცხადონ თანხმობა, შეინახონ თქვენი მონაცემები უსაფრთხოდ და კონფიდენციალურად.

- ჩვენი ჯგუფის სტრუქტურის შეცვლის შემთხვევაში, სხვა მხარეებმა, შესაძლოა, თქვენი მონაცემები გამოიყენონ მხოლოდ ისე და იმ ფარგლებში, როგორც ეს წინამდებარე დოკუმენტით და კანონმდებლობით არის რეგულირებული.

ჩვენ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე გვაქვს უფლება, გადავცეთ თქვენი და თქვენი უფლებამოსილი მძღოლების შესახებ, როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური ინფორმაცია, სადაზღვევო-საინფორმაციო ბიუროს.

ზოგჯერ ავტომატური გადაწყვეტილებების მისაღებად ვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ან ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომელთა სხვა პირებისგან მიღების უფლებამოსილებაც გაგვაჩნია კანონმდებლობით ან თქვენთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე. აღნიშნული ჩვენ გვეხმარება იმის უზრუნველყოფაში, რომ ჩვენი გადაწყვეტილებები იყოს სწრაფი, სამართლიანი და ეფექტური. ამგვარი ავტომატური გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხზე, რომლებსაც ჩვენ გთავაზობთ ახლა ან შემოგთავაზებთ მომავალში.

ქვემოთ მოცემულია ჩვენს მიერ მიღებული ავტომატური გადაწყვეტილებების ტიპები:

ფასწარმოქმნა

ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას ზოგიერთი პროდუქტისა და მომსახურების ფასთან დაკავშირებით ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროდუქტებისა და მომსახურების კლიენტების საჭიროებებზე მორგება

ჩვენ ვახდენთ ჩვენი კლიენტების სეგმენტიზაციას ჯგუფებად. ასეთ ჯგუფებს კლიენტთა სეგმენტებს ვუწოდებთ, რომელთაც თქვენი საჭიროებების შესასწავლად ვიყენებთ და მიღებული ცოდნის საფუძველზე, ვცდილობთ თქვენთვის სასურველი და ხელსაყრელი გადაწყვეტილებების მიღებას. ეს პროცესი ჩვენ გვეხმარება კლიენტთა სხვადასხვა სეგმენტისათვის რელევანტური პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნასა და მათთან ურთიერთობების დარეგულირებაში.

თაღლითობის გამოვლენა

თქვენი პერსონალური მონაცემები გვეხმარება, დავადგინოთ, შესაძლოა თუ არა ჩვენი მომსახურებები და სერვისები გამოყენებულ იქნას თაღლითობის თუ ფულის გათეთრების მიზნებისათვის. ჩვენ მიერ თაღლითობის რისკის დაფიქსირების შემთხვევაში, უფლებას ვიტოვებთ, თქვენივე უსაფრთხოებისთვის დროებით შევაჩეროთ მომსახურების მიწოდება ან უარი განვაცხდოთ შესაბამისი მომსახურების გაწევაზე.

მონაცემებს ვიყენებთ

მონაცემების გამოყენება და გამჟღავნება ხდება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტთან დადებული ხელშეკრულების, ცალკეული სადაზღვევო პროდუქტებით/სერვისებით სარგებლობისას გამოხატული მონაცემთა დამუშავების საფუძველებით და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

კომპანია მონაცემებს იყენებს:

სადაზღვევო მომსახურების გაწევის დროს კლიენტის იდენტიფიცირება, გადამოწმება/ვერიფიკაციისას;

კომპანიას პროცედურების/სტანდარტების მიხედვით შიდა ადმინისტრაციული ან ბიზნეს-ოპერაციების საწარმოებლად;

მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით საჩივრების, შეკითხვების, განცხადებების, უფლებამოსილი ორგანოებიდან მომართვების განხილვისას.

მონაცემების ყოველი გამჟღავნება კონკრეტულ მონაცემთა დამუშავებაზე (ან გამჟღავნებაზე) პასუხისმგებელმა პირმა უნდა აღრიცხოს პროცედურებით დადგენილი წესით.

მარკეტინგი

ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ თქვენი პირადი მონაცემები თქვენთვის კონკრეტული პროდუქტების და შეთავაზებების გასაცნობად.
ჩვენ წვდომა გვაქვს თქვენს პირად მონაცემებზე იმ ფარგლებში, რასაც თავად გვიზიარებთ, ან ჩვენ ვაგროვებთ თქვენთვის მომსახურების გაწევის პროცესში ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებით.
ჩვენ შევისწავლით თქვენს მონაცემებს, რათა გავიგოთ, რა გჭირდებათ, რა გაინტერესებთ, ან რა სურვილები შეიძლება გქონდეთ. ასე ვწყვეტთ, რომელი პროდუქტი, მომსახურება თუ შეთავაზება შეიძლება იყოს თქვენთვის შესაფერისი.
ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიყენებთ თქვენს პირად მონაცემებს და გიგზავნით მარკეტინგულ შეტყობინებებს, როცა გვაქვს თქვენი თანხმობა ან ლეგიტიმური ინტერესი. ჩვენ გპირდებით, რომ ჩვენი საქმიანობა არასდროს იქნება უსამართლო, არასწორი ან თქვენი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული.
თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს დაგვიკავშირდეთ და გვთხოვოთ მარკეტინგული შეტყობინებების გამოგზავნის შეწყვეტა. ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს სურვილებს და ასეთი შეტყობინების მიღებისთანავე შევწყვეტთ თქვენი პირადი მონაცემების გამოყენებას პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის. მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტის მოთხოვნის დაკმაყოფილება არ ახდენს ზეგავლენას და არ ნიშნავს უარს კომპანიასთან მომსახურების მიღებაზე.
ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი უსაფრთხოება და ინტერესები, რის გამოც თქვენ ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებთ შეტყობინებებს თქვენთვის შემოთავაზებულ პროდუქტებსა და მომსახურებების პირობებში მზღვეველის მიერ განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

ვიდეოჩაწერა

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებით ვიდეოჩაწერა შეიძლება განხორციელდეს კომპანიის ტერიტორიაზე.
ვიდეოჩაწერა ხორციელდება კომპანიის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით.
ვიდეოჩაწერასთან დაკავშირებით კომპანია უზრუნველყოფს გამაფრთხილებელი ნიშნების თვალსაჩინოდ განთავსებას.

მონაცემთა სხვა სახელმწიფოში გადაცემა

მომსახურების გაწევის მიზნით და შეუფერხებელი საქმიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად კომპანიას შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას შეუძლია აწარმოოს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო/უცხოური ორგანიზაციისათვის გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამავე სახელმწიფოში ან საერთაშორისო/უცხოურ ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.
მონაცემთა გადაცემისას კომპანიას შესაძლოა წარმოეშვას საჭიროება მოიპოვოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საზედამხედველო ორგანოს ნებართვა. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საზედამხედველო ორგანოს ნებართვას კომპანია არ საჭიროებს, როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხა უკვე დადგენილია საზედამხედველო ორგანოს შესაბამისი ნორმატიული აქტით.
უცხო სახელმწიფოში გადაცემის დროს კომპანია უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის სათანადო

გარანტიებს იურიდიულ ან ფიზიკურ პირთან ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.
პერსონალური მონაცემების ტრანსსასაზღვრო გადაცემის განსახორციელებლად საჭიროა მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მიღება წერილობითი ფორმით.
პერსონალური მონაცემების სხვა სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო/უცხოური ორგანიზაციისათვის გადაცემის განხორციელება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:
ხელშეკრულების შესრულებისას, რომლის მხარე პერსონალური მონაცემების სუბიექტია;
მონაცემთა სუბიექტის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სხვა სასიცოხლო ინტერესების დაცვის შემთხვევაში, როდესაც პერსონალური მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის მიღება მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე არის შეუძლებელი.

მონაცემების შენახვა

კომპანიაში მონაცემები ინახება მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად.
მონაცემების შენახვის ვადის განმავლობაში, მონაცემი ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი მიზნებისთვის მხოლოდ კომპანიის უფლებამოსილი პირებისთვის.
მონაცემების შენახვა, კომპანიის მიზნების გათვალისწინებით ძირითადად ხორციელდება კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადებში. შენახვის კონკრეტული ფორმა და ვადები განსაზღვრულია კანონმდებლობით ან/და კომპანიის შიდა პროცედურებით/სტანდარტებით.
თუ ფიქრობთ, რომ ჩვენთან შენახული თქვენი ნებისმიერი მონაცემი არასწორი ან არასრულია, გთხოვთ დაგვიკავშირდით თქვენი ეჭვების დასაფიქსირებლად. ჩვენ ყველა გონივრულ ზომას მივიღებთ, რომ შევამოწმოთ და გამოვასწოროთ ეს ხარვეზი.
თქვენ უფლება გაქვთ, არ დაეთანხმოთ ჩვენ მიერ თქვენი პირადი მონაცემების გამოყენებას, ან მოითხოვოთ მათი წაშლა, ამოღება ან გამოყენების შეწყვეტა, თუ ჩვენ არ გვაქვს მათი შენახვის საკანონმდებლო საფუძველი.
დაგვიკავშირდით, თუ არ ეთანხმებით ჩვენ მიერ თქვენი მონაცემების გამოყენებას, თუ გაქვთ შეკითხვები ან თუ გნებავთ თქვენი მონაცემების გაუქმება ან გამოყენების შეზღუდვა.

როგორ დაგვიკავშირდეთ

კონფიდენციალურობის პოლიტიკასთან, ჩვენს საერთო უფლება-მოვალეობებთან ან ჩვენ მიერ თქვენი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით არსებული შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით:

ონლაინ ჩატი

გაესაუბრეთ ჩვენს კონსულტანტებს ონლაინ რეჟიმში მოგვწეროთ ამის შესახებ შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე:

+995 32 242 22 22 დაგვირეკეთ 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე

ეწვიეთ ფილიალს

თქვენი მოთხოვნის შესახებ, წერილობითი შეტყობინება (სახელის, გვარის და პოლისის ნომრის მითითებით) გამოგზავნოთ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზმეგის გამზ. #24ბ